# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 137
## \სახელმწიფო შესყიდვების შესახებ\

ს. წეროვანი 26 ოქტომბერი, 2011 წ.

ხელშეკრულება იდება ერთის მხრივ ინდ.მეწარმე ვანო ამირანაშვილსა (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმომადგენელის, მისი თავმჯდომარის ავთანდილ ყოჩიშვილს შორის შემდეგზე:

### 6. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთი“ უკვეთავს , ხოლო „შემსრულებელი“ უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას საბანკეტო მომსახურებით.
1.2. დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 2. მომსახურებათა ღირებულება და ანგარიშსწორების წესი:

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 150,00 (ას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2.2. კონკრეტული საბანკეტო მომსახურების შემდეგ, მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს სასაქონლო ზედნადებს.
2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, სასაქონლო ზედნადების მიღებიდან 10 დღეში.

### 3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.
3.2. „დამკვეთი“ ვალდებულია დროულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის ღირებულება.

### 4. ფორს-მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი შემთხვევები

4.1. ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან თავისუფლდება ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადაულახავი დაბრკოლებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, დესტაბილიზაცია სახელმწიფოში),რასაც ხელშეკრულების დადების მომენტში ხელმომწერი მხარე ვერ გაითვალისწინებდა მის ხელთარსებული საშუალებებით.

4.2. ხელმომწერი მხარე ან მისი კანონიერი მემკვიდრე, რომელიც გადაულახავი დაბრკოლების პირობებს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მეორე მხარეს წერილობით.

თუ ხელმომწერი მხარე შესაბამის შეტყობინებას არ გაუგზავნის ან დააგვიანებს, იგი მოვალეა მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მეორე მხარეს ორ თვეში.

## 5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხარეთა თანხმობით.

5.2. თუ ეს ხელშეკრულება ნაწილობრივ ან მთლიანად არ შესრულდება, დამრღვევი მხარე მოვალეა მეორეს აუნაზღაუროს ზარალი.

5.3. სადაო საკითხების გადაწყვეტისას, მხარეები ეცდებიან მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას კომპრომისების გზით. არ დაუშვან ინფორმაციის გავრცელება წამოჭრილ უთანხმოებათა თაობაზე.

5.4 საკითხები, რომლებიც განხილული არ არის ამ ხელშეკრულებაში, დამატებითი ხელშეკრულების დადებით გადაწყდება.

5.5. ქონებრივი ან არაქონებრივი დავა, რომელთა გამო მხარეები ვერ შეთანხმდებიან, გადაწყდება სასამართლოს გზით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.6. ინფლაციური პროცესების შემთხვევაში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება შეიძლება შეცვლილ იქნას მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

## 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

6.1. ხელშეკრულება კანონიერ ძალაში შესულად ითვლება მხარეთა ხელმოწერისა და სათანადო ბეჭდის დასმის მომენტიდან და მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების შემწყვეტი მხარე, ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ამის შესახებ ერთი თვით ადრე.

6.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა ენიჭება

## 7. მხარეთა იურიდიული და საბანკო რეკვიზიტები:

„შემსრულებელი "
ინდმეწარმე „ვანო ამირანაშვილი" მის. მცხეთის რ-ნი,ს. წეროვანი
ს\კ 06001002607
ა/ა GE12LB0112112635108000
ბ/კ LBRTGE22 სს „ლიბერთი ბანკი" ახალგორის ფილიალი483

ინდმეწარმე ვ. ამირანაშვილი

„დამკვეთი"
ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო:
ს/კ 223238217
ა/ა GE84LB0120169513420000
ბ/კ 220101483 სს „ლიბერთი ბანკი" ახალგორის ფილიალი

საკრებულოს თავმჯდომარე: ა. ყოჩიშვილი